პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 186 (12698) | შაბათი, 10 აგვისტო, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდება საბჭოთა სპორტსმენებს!

დღეს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში, გაიხსნება სსრ კავშირის სალხთა მესამე სპარტაკიადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობა — ძალა და სილამაზე. ფოტოპლაკატი ი. კალაძისა.

გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება
დიდი ქიმიის წარმაგებით განვითარებისათვის

ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის თათბირის მონაწილეთა **მიმართვა**

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ქიმიური მრეწველობის საწარმოებისა და მშენებლობების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების ყველა მუშას, მოსამსახურეს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელები უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ახორციელებენ კომუნიზმის ამშენების დიდებულ პროგრამას, რომელიც სკკ XXII ყრილობამ მიიღო.

XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს რომ ახორციელებს, ჩვენმა ქვეყანამ დიდი წარმატებები მოიპოვა როგორც ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მეცნიერებაა და კულტურის აყვავება, კოსმოსის ათვისება, ეკონომიური ძლიერების, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური აღზრდის განმტკიცება, იწვევს მსოფლიოს ყველა მშრომელთა და პროგრესულ ადამიანთა აღტაცებასა და სიმპათიას საბჭოთა კავშირისადმი. შესანიშნავი გამარჯვება მშვიდობისმოყვარე ძალებისა, რომლებსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, და იმის დადასტურება, რომ სწორია მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი, რომელსაც, მიუხედავად დოგმატიკოსების მტაკიცებისა, ჩვენი პარტია ახორციელებს, არის ის, რომ საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის დაიდო ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რაც სავსებით მოიწონეს ხალხებმა.

მთავარი ეკონომიური ამოცანის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანის გადაჭრაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქიმიური მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის იმ მითითებაზე დაყრდნობით, რომ „...თუ ქიმიას მთლიანად არ ჩავყენებთ ეკონომიკის განვითარების სამსახურში, მნიშვნელოვნად შევამცირებთ ჩვენი სწრაფი წინსვლის შესაძლებლობას“. ჩვენს ქვეყანაში დაჩქარებული ტემპით იქმნება ძლევამი ქიმიური მრეწველობა რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი ტექნიკური პროგრესის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის განვითარებაში უნდა შეასრულონ ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა, რომლებსაც ჰყავთ გამოცდილი კადრები, აქვთ დიდი ნედლეულისა და შრომითი რესურსები, განვითარებული მძიმე მრეწველობა, საამშენებლო ინდუსტრია, სადაც უკანასკნელი წლების განმავლობაში და განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წლის) პლენუმის შემდეგ ამ მიმართულებით მიღწეულია გარკვეული წარმატებანი: შეიქმნა ქიმიური მრეწველობის ცენტრები — სუმგაითი და ყარადაღი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში, რუსთავი საქართველოს სს რეპუბლიკაში, კიროვაკანი სომხეთის სს რესპუბლიკაში. ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის ქიმიურ მრეწველობას 1959-1962 წლებში მოხმარდა ერთიორად მეტი სახსრები, ვიდრე წინა 7 წელიწადში. შვიდწლედის დამლევამდე კაპიტალური დაბანდებანი ამ დარგში კიდევ ერთიორად გაიზრდება.

უაღრესად დიდია ჩვენი შესაძლებლობანი დიდი ქიმიის განვითარებაში. ქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოება ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის საერთო პროდუქციის მთელ მოცულობაში 1965 წლისათვის 4-ჯერ და მეტად გაიზრდება. შვიდწლედის ბოლო წელს ქიმიური მრეწველობა დიდი მოცულობით გამოუშვებს ახალ. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვან პროდუქტებს: სინთეზურ ფისებსა და კაუჩუკს, ხელოვნურ ბოჭკოს, მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებს, ჰერბიციდებს. ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის ქიმიურ საწარმოთა პროდუქციის ხვედრითი წონა საერთო-საკავშირო წარმოებაში ცალკეულ სახეობათა პროდუქციის მიხედვით მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენს.

ქიმიური მრეწველობის განვითარების მაღალ ტემპებს ამიერკავკასიის ეკონომიურ რაიონში უზრუნველყოფს სხვადასხვა ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და მნიშვნელოვანი მოცულობის ადგილობრივი რესურსების გამოყენება წარმოებაში. შეიქმნა მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საპროექტო და საკვლევი ორგანიზაციები, რომლებიც ამუშავებენ ქიმიური მრეწველობის განვითარების აქტუალურ საკითხებს და მონაწილეობენ სახალხო მეურნეობაში მათ პრაქტიკულ დანერგვაში. არის ქიმიის დარგების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მომზადების ბაზა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ სწრაფად განავითარონ ქიმიური მრეწველობა, და ახლა საქმე ჩვენზეა, ამხანაგებო. დიდი ამოცანები, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დასახეს, მოითხოვენ ჩვენგან სრულად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები, რაც შეიძლება სწრაფად ავამოქმედოთ საწარმოო სიმძლავრეები და გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიის ეკონომიურ რაიონში ჯერ კიდევ ჩამორჩება დასახულ გეგმებს, და შვიდწლედის ოთხ წელიწადში ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა ჩვენს ქვეყანას ბევრი ქიმიური პროდუქცია დაკლეს. ამის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ არ სრულდება ახალ სიმძლავრეთა კაპიტალური მშენებლობისა და ამუშავების გეგმები, ჭიანურდება ახალ წარმოებათა ათვისების ვადები. შვიდწლედის ოთხ წელიწადში ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებებიდან აუთვისებელი დარჩა 39 მილიონ მანეთზე მეტი. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამშენებლო ტრესტები და სამმართველოები დიდი ქმიის ცალკეულ ობიექტებზე სისტემატურად ვერ ასრულებენ დაწესებულ დავალებებს. ხშირად მატერიალური და ადამიანთა რესურსები იქსაჭება ბევრ ობიექტზე, სუსტად ინერგება სამუშაოთა წარმოების პროგრესული მეთოდები. სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე ქიმიის ობიექტების მშენებლობის დაგეგმვაში, კომპლექტური მოწყობილობით მათ უზრუნველყოფაში. ურთიერთდაკავშირებულ წარმოებათა ამუშავების ვადების შეუთანხმებლობა იწვევს დისპროპორციის შექმნას, იმას, რომ მთლიანად ვერ იყენებენ ამუშავებულ სიმძლავრეებს.

სერიოზული პრეტენზიები უნდა წავუყენოთ სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტებს, რომლებიც აჭიანურებენ ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების ცალკეული დიდმნიშვნელოვანი პრობლემების დამუშავებას.

ძვირფასო ამხანაგებო!

წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა მარტო განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ დაახლოებით 30 წარმოება. ესენია რუსთავის კაპროლაქტამის, სინთეზური ამიაკისა და ამიაკის სულფატის წარმოება, კიროვაბადის გოგირდმჟავისა და კალიუმსულფატის წარმოება. სუმგაითის ეთილის სპირტისა და სტიროლის წარმოება, ალავერდის სპილენძქიმიური კომბინატის გოგირდმჟავის წარმოება, ერევნის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის აცეტილენის წარმოება და სხვ. იმისათვის, რომ წარმებებით გადავწყვიტოთ ეს დიდი ამოცანები, საჭიროა თავი მოვუყაროთ კაპიტალურ დაბანდებებს და მატერიალურ რესურსებს ასამუშავებელ ობიექტებზე, დაჩქარებული ტემპებით ვაწარმოოთ მშენებლობა, რადგან საწარმოო სიმძლავრეთა მატება ქმნის საჭირო პირობებს საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობეაებისათვის. ჩვენი მოვალეობაა უფრო ღრმად გავეცნოთ თვითეული უბნისა და მშენებლობის საქმიანობას, მკვეთრად ავამაღლოთ ორგანიზატორული და ალმზრდელობითი მუშაობის დონე. სახელმწიფო გეგმა კანონი უნდა გახდეს ყველა საწარმოსა და მშენებლობისათვის. ამას მოითხოვს სამშობლოს ინტერესები, მთელი კომუნისტური მშენებლობის ინტერესები.

ქიმიური ინდუსტრიის განვითარების დაჩქარება მტკიცედ გვიკარნახებს იმას, რომ საჭიროა გადაჭრით გავაფართოოთ სარესპუბლიკათშორისო ეკონომიური ურთიერთობა და დავამყაროთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების ღონისძიებათა მტკიცე კოორდინაცია ამ მიმართულებით. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო დაახლოებას, სარესპუბლიკათშორისო კოოპერირების გაღრმავებას, საწარმოო კავშირის გაძლიერებას ამიერკავკასიის ეკონომიურ რაიონში.

ნათელი და გასაგებია ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დასახა. ეს ამოცანები გრანდიოზულია, ძნელია, მაგრამ სავსებით რეალურია და შეგვიძლია შევასრულოთ.

ჩვენ, ამიერკავკასიის თათბირის მონაწილეები, მოგმართავთ ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის ქიმიური მრეწველობის მუშაკებს მოწოდებით — გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ქიმიის, კომუნისტური მშენებლობის ამ უმნიშვნელოვანეს უბნის, განვითარების დაჩქარებისათვის.

ამხანაგებო, ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მუშებო, ინჟინერ-ტექნიკურო მუშაკებო და მოსამსახურეებო. დაუცხრომლად იბრძოლეთ მოწინავე ტექნოლოგიის, წარმოების სრულყოფილი პროცესების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებია დანერგვისათვის. მკვეთრად გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება და შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება, იბრძოლეთ წარმოების რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის. თოწინავე გამოცდილების, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვისათვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობეაებისათვის. დაუცხრომლად იზრუნეთ უფრო მაღალხარისხოვანი და კონცენტრირებული პროდუქციის გამოშვებისათვის. გაუმჯობესებული დანადგარებითა და მოწყობილობით საწარმოთა ხელახლა აღჭურვისათვის, მოქმედ საწარმოთა სიმძლავრის გადიდებისათვის, ნედლეულის მთელი რესურსებისა და თანამგზავრი პროდუქტების სრულად გამოყენებისათვის. უზრუნველყავით საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულება და იბრძოლეთ იმისათვის, რომ სახალხო მეურნეობას დამატებითი რაოდენობით მიაწოდოთ ქიმიური მრეწველობის პროდუქცია.

ამხანაგებო, ქიმიური მრეწველობის მშენებლობათა და საწარმოთა მუშებო, ინჟინერ-ტექნიკურო მუშაკებო, მოსამსახურეებო და ხელმძღვანელებო, თავი მოუყარეთ მატერიალურ და ადამიანთა რესურსება მშენებლობის გადიმწყვეტ უბნებზე, ფართოდ გამოიყენეთ მშენებლობის სრულყოფილი ინდუსტრიული მეთოდები, შეამცირეთ მშენებლობის ვადები და უზრუნველყავით ქიმიური მრეწველობის საწარმოებში სიმძლავრეთა თავის დროზე და ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემა; საზოგადოებრივ კონტროლს დაუქვემდებარეთ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა.

ამხანაგო მეცნიერებო, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების მუშაკებო, გაერთიანეთ შეცადინეობა ქიმიური მრეწველობის განვითარების აქტუალური საკითხების უსწრაფესად გადაჭრისათვის, შექმენით ეფექტიან სახეობათა მასალები, კონცენტრირებული სასუქები, მთლიანად გამოიყენეთ ნედლეულის რესურსები და წარმოების თანამგზავრი პროდუქტები, განამტკიცეთ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების კავშირი საწარმოებთან, თქვენს ექსპერიმენტულ და მეცნიერულ მუშაობაში ფართოდ გამოიყენეთ მრეწველობის უმდიდრესი შესაძლებლობანი, სამრეწველო საწარმოებს გაუწიეთ მეტი პრაქტიკული დახმარება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვაში.

თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს, სოფლის მეურნეობის მუშაკებსა და სპეციალისტებს ფართოდ დანერგონ სახალხო მეურნეობასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ქიმიური პროდუქცია, როგორც ნედლეულის რესურსების გადიდების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, თვითღირებულების შემცირებისა და სახალხო მეურნეობის გამრავლების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. ქიმიური მრეწველობის ნაწარმმა უნდა შეცვალოს მეტად დეფიციტური და ძვირადღირებული მასალები მრეწველობასა და მშენებლობაში, უნდა გახდეს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მკვეთრი გადიდების საფუძველი. მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებათა ფართო გამოყენება უნდა გახდეს მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გადიდების საფუძველი იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოება გავადიდოთ 2-3-ჯერ.

სკკპ XXII ყრილობამ დაგვიხატა ამოცანა: უახლოეს ორ ათწლეულში შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს ექნება უმაგალითო სიმძლავრის საწარმოო ძალები, გადააჭარბებს ყველაზე განვითარებული ქვეყნების ტექნიკურ დონეს და მსოფლიოში პირველ ადგილს დაიკავებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებით.

ჩვენზე, ქიმიური მრეწველობისა და დიდი ქიმიის საწარმოთა მშენებლებზე, იმათზე, ვინც პრაქტიკულად ახორციელებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგების ქიმიზაციას, ბევრად არის დამოკიდებული ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა, და ჩვენ, თათბირის მონაწილენი, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების ქიმიური მრეწველობის ყველა მუშაკის სახელით პირობას ვაძლევთ ჩვენს მშობლიურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, რომ ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ გადავაქციოთ დიდი ქიმია ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე დარგად ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობაში და ამით ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

მიიღო ამიერკავკასიის ქიმიკოსთა თათბირმა 1963 წლის 8 აგვისტოს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო დ. რასკი

ბაბრა, 9 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც აქ ისვენებს, მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დ. რასკი. ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. რასკს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულწრფელ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საუბრის მსვლელობაში ისინი შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებს.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა.

ამერიკის მხრიდან საუბარში მონაწილეობა მიიღეს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩმა ლ. ტომპსონმა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სსრ კავშირში ფ. კოლერმა და სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ რ. დეივისმა. საუბრის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა, დ. რასკი და მისი მეუღლე, აგრეთვე დ. რასკის თანმხლები პირები მიიწვია სადილად ოჯახში.

საბჭოთა კავშირის მხრიდან სადილზე იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი მეუღლითურთ, ნ. ს. ხრუშჩოვის ოჯახის წევრები.

საბჭოთა ახალგაზრდობის დღესასწაული

დღეს ახალგაზრდობის, სილამაზისა და სიჯანსაღის დღესასწაულია...

დღეს საბჭოთა ხალხი ოცდამეხუთეჯერ ზეიმობს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

ზეიმობს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა 30-მილიონიანი არმია, ზეიმობს მთელი ქვეყანა.

მოდიან სპორტსმენთა უწყვეტი კოლონები. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგას..

ეს კუნთმაგარი ახალგაზრდობაა ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებელი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ ჩვენ ქვეყანაში სპორტის მასობრივობისათვის, რადგან სპორტი ადამიანში, ჰარმონიულად ათავსებს და ავითარებს ფიზიკურ სრულყოფას, სულიერ სიმდიდრესა და მორალურ სიწმინდეს.

არც ერთ ქვეყანაში არ არის სპორტი ისე მასობრივი, როგორც ჩვენში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ ერთი ციფრი. ჩვენს ქვეყანაში 187 ათასი სპორტული კოლექტივია.

ამიტომ არის ფიზკულტურელის საკავშირო დღე საერთო-სახალხო დღესასწაული.

სწორედ ამ საზეიმო დღეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში იხსნება სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადა, დიდი სპორტული ფორუმი.

ლუჟნიკში — ამ „სპორტულ სახელმწიფოში“ დღეს ჩვენი დიადი კავშირის ახალგაზრდობის დათვალიერების დღეა.

ეს დიდი დღესასწაული საზეიმო გამოცდაა ჰგავს. წინ კიდევ დიდი ასპარეზობაა. აქ მხოლოდ მხნე და გონიერი იმარჯვებს. ამ თანასწორ ძმურ ოჯახში გამარჯვებულთა შორის გამარჯვებულნი უნდა გამოვლინდნენ.

სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის შემდეგ, 3 წელიწადში, საბჭოთა სპორტსმენებმა დაამყარეს 792 საკავშირო და 382 მსოფლიო რეკორდი.

საბჭოთა სპორტსმენებმა 1962 წელს საერთაშორისო შეჯიბრებებში მოიპოვეს ევროპისა და მსოფლიოს 171 ოქრის მედალი, დაამყარეს საბჭოთა კავშირის 263 რეკორდი.

ეს მიღწევები საბჭოთა სპორტის ძირითადი პრინციპის — მასობრიობის საშუალებით არის მიღწეული. საბჭოთა სპორტისათვის უცხოა ერთეული „ვარსკვლავებით“ გატაცება. რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლის კანონი, ფართოდ გამოიყენეთ სიმინდია და ნამჯის სილოსის დამზადება, აგრეთვე სილოსის ჩადება მიწისზედა წესით.

საჭიროა აღმოვფხვრათ ნამჯის აღებისა და ზვინებად დადგმის ერთმანეთისაგან ჩოწყვეტა, თავთავიანი კულტურების აღებისთანავე ფართო მასშტაბით უნდა დავთესოთ სიმინდი, ბარდა და ნაწვეერალზე სათესი სხვა კულტურები.

ყურადღება უნდა მიექცეს სათოხნი საკვები კულტურების ნათესთა მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოთ ამ კულტურების უხვი მოსავლის მოწევა.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სახელმწიფოსათვის თივის ჩაბარების გეგმა უთუოდ შესრულება, მთელი დამზადებული საკვების სწორი აღრიცხვა, რათა ერთმანეთს არ მოწყდეს მისი დამზადება და შემოსავალში ჩაწერა.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ ვალდებულია უზრუნველყოს ნამჯის გაზიდვისა და ზვინებად დადგმის გეგმის გადაჭარბებით შესრულება, აგრეთვე საკვების დამზადებისათვის საჭირო მანქანებისა და მექანიზმების შეტანა რაიონულ განყოფილებებში საწარმოო სამმართველოების მიერ წარმოდგენილი განაცხადების თანახმად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებას წინადადება მიეცა შეესწავლოს, თუ როგორ ამზადებენ უხვ საკვებს ორი-სამი საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში და შედეგები მოახსენოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს მოსთხოვა პარტიული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს მთელი ძალღონე და სახსრები მოახმარონ საკვების დაგროვების ყველა სამეშაოთა წარმატებათ დამთავრებას და ამით შექმნან პირობები საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

(საქდესი).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროში

საკვების დამზადების მიმდინარეობა გურჯაანისა და თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიურომ მოისმინა გურჯაანისა და თეთრი წყაროს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მდივნების ინფორმაცია. აღნიშნა, რომ ამ სამმართველოთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკეთ წარმოებს საკვების დამზადება შარშანდელთან შედარებით. მაგრამ სამეშაოთა ტემპი ვერ უზრუნველყოფს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, რომ მეცხოველეობისათვის დაამზადონ საკვების წლინახევრის-ორი წლის მარაგი.

გურჯაანის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ დარაზეს ძალები და სახსრები თიბვისა და დასილოსების წარმებებით მოსაწყობად. ამის შედეგად ჯერ კიდევ მოუთიბავია მნიშვნელოვანი ფართობები, სილოსის ჩადება დაიწყეს ცალკეულ მეურნეობებში, ხოლო ნამჯის გატანა და ზვინებად დადგმა შეუწყნარებლად ჭიანურდება.

თუ თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს დაბლობის ზონის მეურნეობებმა თავი გაართვეს თივის აღებას და შექმნეს საკვების ორი წლის მარაგი, მთის ზონაში თივის აღება და დასილოსება ნელა წარმოებს.

სიძნელეები, რომლებიც გამოიწვია ამინდის არახელსაყრელმა პირობებმა, მოთხოვდნენ პარტიული კომიტეტებისაგან, საწარმოო სამმართველოებისაგან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან, ხელმძღვანელებისაგან განეხორციელებინათ უფრო ოპერატიული, ქმედთი ღონისძიებანი. მაგრამ ბევრი პარტიული კომიტეტი, საწარმოო სამმართველოები ჯეროვნად ვერ აფასებენ 1963-1964 წლებისათვის საკვები ბაზის შექმნის მთელ მნიშვნელობას, რის შედეგად 1 აგვისტოსათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამზადებულია თივა — 142500 ტონა (გეგმის 37,2 პროცენტი), ნამჯა — 42000 ტონა (გეგმის 4,8 პროცენტი) და სილოსი — 63000 ტონა (გეგმის 4,9 პროცენტი).

თითქმის ყველა საწარმოო სამმართველოში ჭიანურდება ნამჯის მინდვრიდან გატანა და ზვინებად დადგმა, რაც იწვევს მის გაფუჭებას და აფერხებს ნაწვეერალზე სათესი კულტურების თესვას.

თივის სადაზღვევო მარაგის დამზადება ყიზლარის საძოვრებზე მიმდინარეობს რამდენადმე უკეთ, ვიდრე გასულ წელს, მაგრამ თიბვის ტემპი საკმაო არ არის. საკვების საჭირო მარაგის შექმნაში განსაკუთრებით ჩამორჩენილ ყაზბეგის რაიონი, რომელმაც გეგმა შეასრულა მხოლოდ 23,8 პროცენტით, ლენინგორის საწარმოო სამმართველო — 43,2 პროცენტით.

ჩამორჩენა საკვების დამზადებაში გამოწვეულია არა იმდენად ამინდის არახელსაყრელი პირობებით, რამდენადაც საკვების დამზადების სამუშაოთა უუნარო ორგანიზაციით. ბევრ მეურნეობაში დროზე არ დააკომპლექტეს საკვებმომპოვებელი ბრიგადები, სრულად ვერ იყენებენ ტექნიკას, მუშა ხელს, გაძლეულ პირუტყვს.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიურომ გურჯაანისა და თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მდივნებისა და ეფორიათა, ეფორიის ყველა სამმართველოს პარტიული კომიტეტების მდივნების, საწარმოო სამმართველოთა უფროსების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა უსწრაფესად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი საკვების დამზადებაში. ისინი ვალდებული არიან გააძლიერონ საკვებმომპოვებელი ბრიგადები მუშა ხელით, ჩაბან ამ ბრიგადებში მეცხოველეობის ფერმების მუშაკები, სოფლის ახალგაზრდობა.

უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ტრაქტორების, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, საავტომობილო და ჭაანტრანსპორტის სრული და მაღალმწარმოებლური გამოყენება საკვების დამზადებაში.

საჭიროა სრულად გამოვიყენოთ თიბვის ყველა გამოსადეგი ნაკვეთი და მოვაყოთ განმეორებითი თიბვა, უზრუნველვყოთ ყველა კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში თივის ცილოვან-ვიტამინიანი ფენილის დამზადების დაწესებული გეგმის შესრულება. ელეური ბალახებია დასილოსებასთან ერთად საჭიროა დროზე დავიწყოთ სიმინდის დასილოსება, ფართოდ გამოვიყენოთ სიმინდიაა და ნამჯის სილოსის დამზადება, აგრეთვე სილოსის ჩადება მიწისზედა წესით.

საჭიროა ფერმებში, ბრიგადებში, ეფორიებში, ეფორიის ყველა სამმართველოში, ეფორიის ყველა სამეურნეოში ფართოდ ავამოქმედოთ სოციალისტური შეჯიბრება, ავაფეთქოთ ინიციატივა, ავამაღლოთ ორგანიზატორული ალმზრდელობითი მუშაობის დონე. ეფორიებმა, ეფორიის ყველა სამმართველოს, ეფორიის ყველა სამეურნეოს, ეფორიის ყველა ბრიგადის, ფერმის, ეფორიის ყველა ეფორიის ალმზრდელობითი ბიურო

ქიმია დამკვრელური ფრონტია

ქიმიკოსთა და მშენებელთა თათბირი

როგორც უკვე პრესაში ვიუწყებოდით, 6 აგვისტოდან 8 აგვისტომდე ბაქოსა და სუმგაითში მიმდინარეობდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ქიმიური მრეწველობის მუშაკთა და მშენებელთა თათბირი, რომელიც მოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ.

მოხსენება — ამიერკავკასიის რესპუბლიკების ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის პერსპექტივების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ს. ფედოროვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, თქვა მომხსენებელმა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათებში — ქიმიური მრეწველობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი და მინერალური სასუქის წარმოების განვითარება სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის და, ბოლოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილში „1964-1965 წლების სახალხო მეურნეობის გეგმისა და 1966-1971 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავების ძირითადი პრინციპები და მიმართულებანი მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგში“ ახალი ძალით გაისმა პარტიისა და მთავრობის მოწოდება ქიმიური მრეწველობის მძლავრი აღმავლობისათვის. ამ მოწოდებამ განსაზღვრა 1964-1965 და მომდევნო წლების გეგმის ჩამოყალიბებაში საყოველთაო-სახალხო მონაწილეობის ძირითადი შინაარსი. იგი გამოვლინდა აგრეთვე იმ ფაქტში, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ მოიწვია ეს თათბირი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის ძალზე საჭიროა, მთელი ეროვნული ეკონომიკისათვის მეურნეობის ამ ახალ დარგშიც. ამყამად კიროვაკანში შეიჯარა აწარმოებენ შესანიშნავ აეკტატის აბრეშუმს. რუსთავში შენდება პოლიამიდის აბრეშუმისა და კაპროლაქტამის კორდის ბოჭკოს წარმოების ქარხანა, სუმგაითში გათავლისწინებულია შეიქმნას პოლიეთილენის ბოჭკოს — ლავსანის წარმოება კარგი ხარისხის უმჯობესი საკოსტიუმე ქსოვილებისათვის.

პოლიმერული მასალების სამრეწველო განვითარების დარგში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სინთეზური კაუჩუკის წარმოების პრობლემას და მისი გამოყენების სტრუქტურის ძირეულ გაუმჯობესებას მასობრივი დანიშნულების რეზინის ნარეკეებში. ამ დარგშიც ამიერკავკასიის ქიმიკოსებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ, რათა შექმნან ისეთი კაუჩუკი, რომელიც იქნება თერმომდეგი, ბენზინმედეგი, გაზშეუღწეელი და ექნება სხვა ძვირფასი თვისებები.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ პოლიმერული მასალების — პლასტმასებისა და სინთეზური ფისების, ბოჭკოების, კაუჩუკებისა და ორგანული სინთეზის ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების მძლავრი აღმავლობა, განზრახულია გვაქვს ქიმიის აწმყოსა და მომავალს საფუძვლად დავუდოთ უწინარეს ყოვლისა ნავთობის, ბუნებრივი და ნავთობის მოპოვების თანამგზავრი გაზების ნახშირწყალბადების უმდიდრესი რესურსებისა და ნავთობის გადამუშავების პროდუქტების კომპლექსური გამოყენება.

ქიმიაში, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ნავთობი და გაზი და უახლოესი წლების განმავლობაში უნდა შეეწყვეტოთ მცენარეული ზეთის ხარჯვა ქიმიური მიზნით, აგრეთვე ეთილის სპირტის წარმოება ხაკვების ნედლეულისა და სახამებლისაგან. მნიშვნელოვანი წვლილი ამ საქმეში უკვე შეაქვს აზერბაიჯანის ნავთობქიმიას, სუმგაითის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის დიდი მნიშვნელობა განსახაზღვრება აგრეთვე მისი როლით ბუტანისაგან დივინილის წარმოების პროგრესული ტექნოლოგიის ათვისებაში, რომელიც ამ საწარმოში შეიქმნა. ამ გზით რომ მიღის, აზერბაიჯანის ქიმიკოსთა შესანიშნავი კოლექტივი ვალდებულია უახლოეს მომავალში გააფართოოს მოქმედი და შეიქმნას ახალი სიმძლავრეები დივინილის წარმოებისათვის, დაარაროს მიმდინარე წლის განმავლობაში სულფანოლის წარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემა და 1965 წელს ამომქმედოს სარეცხი ფხვნილების წარმოების სიმძლავრეები.

აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის ნახშირწყალბადების ფართოდ გამოყენების ბაზაზე ფართოდება ქიმიური მრეწველობის მოქმედი საწარმოები და შენდება ახალი საწარმოები და მათ შორის სუმგაითის ნავთობქიმიური კომბინატი. ნავთობისა და გაზის ნახშირწყალბადების საფუძველზე აზერბაიჯანის ლაქსაღებავების ქარხანაში, რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია 1964-1970 წლების გეგმებით, დამზადდება სხვადასხვა ლაქი, მინანქარი და წყალში გახსნილი საღებავები. მნიშვნელოვნად გაიზრდება სარეცხი საშუალებების, ქლოროორგანული პროდუქტების წარმოება და მათ საფუძველზე სარეცხელებისაგან და დაავადებებისაგან სასარგებლო მცენარეთა და ცხოველთა დაცვის საშუალებანი.

აზერბაიჯანის ქიმიური მრეწველობის განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები განსაზღვრა უნიკალური თვისების ნავთობის მნიშვნელოვანმა მოპოვებამ, მძლავრმა ნავთობგაზგადასამუშავებელმა მრეწველობამ, აგრეთვე თვით რესპუბლიკის, მისი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საწარმოთა, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ორგანიზაციათა კოლექტივების მისწრაფებამ მოახმაროონ ნავთობისა და გაზის ნახშირწყალბადები ეროვნული ეკონომიის მშენებლობის დიად საქმეს. ამ შესანიშნავმა მისწრაფებამ განსაზღვრა აზერბაიჯანის როლი და სეროიზული მნიშვნელობა მთელი ამიერკავკასიის ქიმიის განვითარებაში. აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის ნახშირწყალბადების საფუძველზე ვითარდება და კვლავაც განვითარდება ქიმია ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

ძნელია გადაჭარბებით შეგიფასოთ ნახშირწყალბადის ნედლეულის მნიშვნელობა ამიერკავკასიის ქიმიისათვის, რომლის ბაზაა აზერბაიჯანი. მაგრამ ამ ბაზის ტექნიკური მომზადების საქმის ფაქტიური მდგომარეობა არ შეესაბამება ქიმიის ახალ საწარმოთა შენებლობისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გაფართოებას და იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უკვე ნახშირწყალბადის ნედლეულს. კარგად ვერ არის ადგილობრივი ნედლეულით სუმგაითის სინთეზური კაუჩუკის ქარხნის, ყარადაღისა და სიაზანის გაზგაყოფნის ქარხნების უზრუნველყოფა საქმე.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ნელა იზრდება ბუნებრივი გაზის სამრეწველო მარაგი აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის საჭმის ნავთობისა და გაზის გადასამუშავებელ მრეწველობაში. მრეწველობის ნორმალური მუშაობისათვის, მისი განუწყვეტელი განვითარებისათვის საჭიროა არა პოტენციური, არამედ რეალური სამრეწველო მარაგი და ამისათვის უკვე ახლა საფუძველიანად უნდა გავფართოოთ გაზის საძიებო და სამრეწველო დაზვერვა და გავშალოთ საექსპლოატაციო ბურღვა. განეკუთვნებოდეს ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა,

კომუნიზმისათვის ბრძოლაში

ტაციაზე. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ვიწყებთ უმრავლ შემთხვევას, როცა ახალი ობიექტების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა იფუშება იმის გამო, რომ დროულად არ მიიწოდეს მოწყობილობა.

სერიოზულად უნდა ეფსაყვედუროთ „სოიუზგლავნიმკომპლექტს", რომელიც ჯერჯერობით მუშაობს როგორც ჩვეულებრივი მომმართაგებელი ორგანო. ჩვენ მოგვაჩნია, რომ იგი მშენებლობებს მოწყობილობას კომპლექტურად უნდა აწვდიდეს. ეს დადებით გავლენას მოახდენს მშენებლობის ტემპებზე.

პარტიული ორგანოების გარდაქმნამ საწარმო პრინციპის მიხედვით დიდი შესაძლებლობანი დასახა მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის, თქვა **ლ. ბ.** ასსრულ ამბ. ორთონიანმა. ჩვენმა პარტიამ ქიმიის კომუნისტური მშენებლობის დამკვრელი ფრონტი უწოდა. ეჭვი არ არის, რომ სომხეთის მრეწველობის მუშაკები ამ ფრონტის მოწინავე პოზიციებზე იბრძოლებენ, ღირსეულ წელილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის მძლავრ განვითარებაში.

ა ზ ერ ბ ა ი ჯ ა ნ ი ს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ე. ნ. ალიხანოვმა** თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წ.) პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში აზერბაიჯანის ქიმიურმა მრეწველობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. 1963 წელს ქიმიური პროდუქციის მოცულობა 3,3-ჯერ გადიდდება 1958 წელთან შედარებით.

ქიმიური იხდუსტრიის პროდუქციის საშუალო-წლიურმა ტემპმა აზერბაიჯანში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში 25 პროცენტი შეადგინა, რიც რესპუბლიკის მთელი სამრეწველო პროდუქციის ზრდის საშუალო-წლიური ტემპი 9 პროცენტია. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკვე ახლა უზრუნველყოფილია იხდუსტრიის ამ უფლისად პროგრესული, დიდი მომავლის მქონე დარგის უპირატესი განვითარება.

წარმატებანი უეჭველია. მაგრამ უნდა ვაღიაროთო, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარება ჯერ კიდევ ჩამორჩენა შვიდწლედის საკონტროლო დავალებებს. ძირითადი მიზეზებია მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობა, დაპროექტების დროს დაშვებული შეცდომები, ახალ სიმძლავრეთა დაგვიანებით ამოქმედება და სიძნელეები, რომლებიც ახალი ტექნოლოგიური პროცესების თვისების დროს გვხვდება.

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობა განვითარების ძირითადი მიმართულება მიმდინარე შვიდწლედის დარჩენილ წლებში და მომავალი ხუთწლედის პერსპექტივაში არსებულ ქიმიურ და ნავთობქიმიურ საწარმოთა გაფართოება და ისეთ ახალ საწარმოთა შექმნა, რომელთა ბაზაც იქნება ნახშირწყალბადის ნედლეულისა და აზერბაიჯანში არსებული მიხეილოვი რუსეთის კომპლექსური გამოყენება, ამასთან უპირატესად განვითარდება სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოების, კაუჩუკისა და სასუქების დიდი წარმოებანი.

ეთვალსწინებთ რა ქიმიური მრეწველობის ზრდის სწრაფ ტემპებს, ამასთანავე მაქსიმუმი ზრუნვა უნდა გამოიჩინოთ იმ დარგების განვითარებისათვის, რომელთა ბაზაზე შეიქმნება დიდი ქიმია. საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობას, რომელიც მალალარენტაბელი ნედლეულის მომწოდებელია ქიმიური გადამამუშავებისათვის.

უნდა გაძლიერდეს ნავთობის და, განსაკუთრებით, გაზის მიწისქვეშა ახალი საბადოების ძიება. და, ამასთანავე, ფართო მასშტაბით უნდა გაიშალოს სამუშაოები სარეწვების ჰერმეტიზაციისათვის, ახალი გაზსადენების გაყვანისათვის, რათა გახლოცელდეს თანამგზავი გაზის ტრანსპორტირება. იმდენად, რამდენადაც გაზს ახალი საბადოების ძიება ღრმა ბურღვას უკავშირდება, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაუმაღობესდეს წარეს მზეეკავი აღუფრა მძლავრი საბურღავი მოწყობილობით, მაგალი სიმტკიცის საბურღავებია და სამაგრი მილებთ, ეფექტიანი საკრელი ინსტრუმენტებით.

ამერიკაკავკასიაში ქიმიური მრეწველობის განვითარების პრობლემები, ამბობს ამხ. ალიხანოვი, უნდა გადაიჭრას აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდის ამოცანებთან ერთად. უკვე 1963 წელს კატალიზური და თერმული კრეკინგების მოკმედ სიმძლავრეთა, დისტილატებისა და გითხევადებული გაზების პიროლიზის ბაზით მიღებულ იქნება ასეულ ათასობითი ტონა უძვირფასესი გაზნავთობქიმიური ნედლეული. 1965 წლისათვის გათვალისწინებულია მისი საერთო გამომუშავება ერთნახევარჯერ გადიდდეს. ამისათვის უნდა დამთავრდეს მშენებლობა კატალიზური კრეკინგის დანადგარისა ახალი ბაკოს ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში. ხოლო შემდეგ მშენებლობის პროცესში მყოფ საწარმოოთა, უწინარეს ყოვლისა სუმგაითის ქიმიური კომბინატის უზრუნველყოფისათვის, ჩვენ არაუგვიანეს 1965 წლისა უნდა ავამუშავოთ მეორე კატალიზური კრეკინგი. ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ დიენილის გამოშვება კაუჩუკისათვის და მთელი რიგი ქიმიური პროდუქტების წარმოება პროპილენის საღუქვილზე.

როცა ნედლეულის ბაზის მდგომარეობას ეფასებთ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ნავთობქიმიური ნედლეულის მთელი რესურსები საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ ქიმიური პროდუქციის წარმოების დასახული მოცულობანი აზერბაიჯანში და ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარება ამერიკაკავკასიის ეკონომიურ რაიონში.

როგორც საგანგებო სწორად აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, არსებული მდიდარი სანედლეულო რესურსების გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიური და სწრაფი გზაა იმისთვის, რომ მაქსიმალურად გადიდდეს წარმოება მოკმედ საწარმოებში, მათი რეკონსტრუქცია და გაფართოება.

წელს მწყობრში უნდა ჩადგეს ბუტილკაუჩუკის, სინთეზური სარეცხავი საშუალებების — სულფანოლის, სუბერფოსფატის, გოგირდმჟავის, კარბოქსიმეთილცელულოზის, აგრეთვე ჰერბიციდის, ტექნიკური იოდის, ბრომისა და სხვათა წარმოების დიდი სიმძლავრეები. ამავე დროს ბრძოლა ქიმიური პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის იწყრმრეს მოწყობილობის მოდერნიზაციის, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის ხაზით.

რესპუბლიკის შესაძლებლობათა საფუძველზე, მომზადებულია და შეტანილია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ქიმიური ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში ჩვენი წინადადებანი, რომლებიც, კერძოდ, ითვალისწინებენ სინთეზური ბოჭკოს წარმოების და პლასტიკური მასების გადამუშავების შექმნასა და ფართოდ განვითარებას. ეს წინადადებანი გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და საკანონმდებლო შეფასებამეშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მითითებებს სახალხოსამეურნეო გეგმების შექმნის ახალი პრინციპების შესახებ.

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის შემდგომ განვითარებაში დიდი ადგილი ეთმობა სუმგაითის ქიმიურ კომბინატს. პირველი ასამუშავებელი ობიექტი — გაზის დასაფრაქციებელი დანადგარი მწყობრში ჩადგება მიმდინარე წელს. პროექტით კომბინატში გათვალისწინებულია შეიქმნას ოცზე მეტი წარმოება, რომლებიც წელიწადში ასეულ ათასობით ტონა პროდუქციას გამოუშვებენ. შემდეგ აქ უნდა მოეწყოს ლავსანის ბოჭკოს, პოლიქლორვინილის ფისის, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის დიდი წარმოებანი. დასახული განზორციელდეს კომბინატის ფართო კოოპერაცია ბაკოსა და სუმგაითის ნავთობქიმიური კომბინატების უკვე მომქმედ და მშენებლობის პროცესში მყოფ საწარმოებთან.

შემდგომ განვითარდება კაუსტიკური სოდისა და ქლორორგანული პროდუქტების, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოება.

მომხსენებელი ამბობს, რომ შემდგომ ხუთწლედში რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობა გასცდება მისი ახლანდელი ძირითადი ცენტრის — სუმგაითის ფარგლებს. ქიმიური მრეწველობის ახალი დიდი ბაზა შეიქმნება მტკვრისპირა რაიონში, რომელსაც უკვე ახლა ნავთობისა და თანამგზავრი გაზის უზარმაზარი რესურსები აქვს. ქვამარილის უდიდესი რესურსების გამოსაყენებლად საჭიროა შეიქმნას ნატრეენის ასს რესპუბლიკაში კალცინირებული სოდის, კაუსტიკური სოდისა და ქლორორგანული პროდუქტების წარმოების კომბინატი. იოდ-ბრომის ახალი ქარხნები მიზანშეწონილია აშენდეს ზიხში, ნეფტეჯალასა და ყარადაღში.

კიროვაბადის ალუმინის ქარხნის ამუშავების შემდეგ აზერბაიჯანის ქიმიური მრეწველობის დიდმნიშვნელოვანი ცენტრი გახდება კიროვაბადი. აქ, ზაგლიკის საბადოს ალუნიტების კომპლექსური გადამუშავების ბაზაზე მუშაობას დაიწყებს გოგირდმჟავისა და კალიუმის სასუქების წარმოება.

ქიმიური მრეწველობის განვითარების დასახული გეგმების წარმატებთან განხორციელებაში უდიდესი როლი ეკუთვნის მეცნიერებას. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის სამეცნიერო ორგანიზაციებში შესრულდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოები ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის შემდგომი პროგრესისათვის. ბევრმა მათგანმა სამრეწველო განსახიერება ჰპოვა, როგორც აზერბაიჯანში, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა ეკონომიურ რაიონებში. მაგრამ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში ბევრი სერიოზული ნაკლიც არის.

რესპუბლიკის მეცნიერებმა უნდა გააძლიერონ მონაწილეობა დიდი ქიმიის აქტუალური პრობლემების დაგეგმვაში, ანალიზი, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შექმნაში, ხელი უნდა შეეწყოს ახალ წარმოებათა ათვისებას.

შემდეგ მომხსენებელი ამბობს, რომ აუცილებლად საჭიროა გაფართოვდეს მეცნიერთა, ინჟინერ-ტექნიკური და მუშათა კადრების მომზადება ქიმიური მრეწველობისათვის.

მომხსენებელმა სერიოზულად გააკრიტიკა საპროექტო ორგანიზაციათა საქმიანობა. როგორც წესი, დოკუმენტაციის შემუშავების ვადებს არ იცავენ, მშენებლებს წმინდად ეძლევათ უკომპლექტო პროექტები, რომლებიც თანაც არასწორ გადაწყვეტას შეიცავენ.

რესპუბლიკის მშენებელთა წინაშე, გაწაგრძობს მომხსენებელი, დგას დიდი ამოცანები, რომლებიც უკავშირდება დიდი ქიმიის მშენებლობებზე სამუშაოთა მოცულობის მკვეთრად გადიდებას. ბაზრული ამოცანების წარმატებით გადაჭრა ეფუძნება მთელ რიგ ღონისძიებებს მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის, სამშენებლო ორგანიზაციათა განმტკიცებისა და სპეციალიზაციისათვის. მშენებელთა მუშაობისათვის ურო ხელსაყრელ პირობებს შექმნის აგრეთვე ის, რომ დასახულია ქიმია გასცდეს ბაკო-სუმგაითის რაიონის ფარგლებს.

— მე უკვე ვილაპარაკე იმაზე, — თქვა ამხ. ალიხანოვმა, — რომ აზერბაიჯანის ქიმიური მრეწველობის წარმოების მოცულობა 1970 წელს 6,5-ჯერ გაიზრდება 1963 წელთან შედარებით. დიდად გახვითარდება აგრეთვე საქართველოს და სომხეთის ქიმიური იხდუსტრია. ასეთ უზარმაზარ მასშტაბებს რომ ვითვალისწინებთ, ჩვენ საჭიროდ და გადაუდებლად მიგვაჩნია განზორციელდეს ქიმიური მრეწველობის განვითარების კომპლექსური სქემის გადამუშავება ამერიკაკავკასიის ეკონომიური რაიონის ჩარჩოებში. ამ სქემამ უნდა მოიეცას ნედლეულის რესურსების, გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის საკითხები და ეფექტიანი მიმართულებანი და მისი საწარმოების განლაგების პუნქტები, უნდა განისაზღვროს თვითეული ობიექტის მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის უადრესად ეფექტიანი მიმართულებანი და მისი საწარმოების განლაგების პუნქტები, უნდა განისაზღვროს თვითეული ობიექტის მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის უადრესად რაციონალური ვადები მთელი ეკონომიური რაიონის განვითარების ინტერესებთან შეხამებით.

ეჭვი არ არის, რომ ახლანდელი თაობირი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამერიკაკავკასიის ბიუროს მოიწვია, სერიოზულ დახმარებას გაუწევს ჩვენი მოძმე რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა, აგრეთვე საგეგმო ორგანოებს ამერიკაკავკასიის დიდი ქიმიის შექმნის საქმეში, კომბინატური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანების გადაჭრაში.

ა ზ ერ ბ ა ი ჯ ა ნ ი ს **შემდეგ გაიმართა კამათი.** კამათი გახსნა სომხეთის კომპარტიის ცკ-ის მდივანმა **მ. მ. ბახშინიანმა.** მან თაობირს გადასცა სომხეთის ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრის მზრომელთა სალაში და დაწერილებით ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უტმეფენ კიროვაკანის ქიმიკოსები შვიდწლედის მიჯნებს.

კიროვაკანის ქიმიურ საწარმოთა წ�მოდის ახლა ციანამიდის, კორუნდის, მელამინის, აცეტატის აბრეშუმის წარმოების ძნიშვნელოვანი ნაწილი. შვიდწლედის პირველი ოთხწელიწადნახევრის დაგალება 103 პროცენტით შესრულდა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულმა ზეგეგმითმა ეკონომიამ 1,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ქიმიურ საწარმოთა და ახალშენებათა მუშაობა მუდამ საქალაქო კომიტეტის, კიროვაკანის მთელი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია. ქალაქის ქიმიური მრეწველობის განვითარების საკვანძო საკითხები არაერთგზის განხილულ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე წარმოების მოწინაეთა, სპეციალისტთა, მეცნიერთა მონაწილეობით და ამან ხელი შეუწყო შვიდწლედის გაზრდილ ამოცანების წარმატებით გადაჭრას. ბევრი რამ გააკეთა ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ იმისათვის, რომ უზრუნველეყო ქიმიის მშენებლობანი მუშათა კადრებით. კიროვაკანის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ოცეულობით ახალი ქიმიური ობიექტები მშენებლობისადმი. ახალგაზრდობამ წამოაყენა ლოზუნგი — „ეშენე და იმუშაე", დამკვრელურად შრომობდა ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაზე და ახლა დამკვრელურად მუშაობს ახალი საწარმოს საამქროებში.

ცხოველი, ოპერატიული მუშაობა ადგილებზე, პარტიული ხელმძღვანელობა ახალი მეთოდები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარეობს, მტკიცე კონტროლი საქალაქო კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი დადებით შედეგებს იძლევა. შვიდწლედის დამდეგიდან მწყობრში ჩადგა რამდენიმე ქიმიური წარმოება, საექსპლოატაციოდ გადაეცა ხელოვნური ბოჭკოს ქარხანა და თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი. ეს იყო ნამდვილი ინტეგრაციონალური მშენებლობა. მის მშენებელთა ერთსულოვან ოჯახში შრომობდა 14 საკავო ორგანიზაცია, მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის მემონტაჟეები.

ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა — მისი მუშების, მოსამსახურეებისა და სპეციალისტების საშუალო ასაკი 22 წელს არ აღემატება — კარგ წარმატებებს მიაღწია. სსრ კავშირის ყველაზე დიდი საწარმო, რომელიც აცეტატის აბრეშუმს უშვებს, სრული სიმძლავრით მუშაობს.

შემდეგ ამხ. ბახშინიანი ამბობს, რომ ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გააძლიროს დახმარება საწარმოებისადმი, განსაკუთრებით ახალ სახეობათა პროდუქციის თვისებაში, ყოველი ღონისძიებით უნდა შეუწყოს ხელი ახალ წარმოებათა ამუშავებას.

უკანასკნელ ხანს დაწინაურდნენ, ავტორიტეტი მოიპოვეს კიროვაკანის ქიმიური მრეწველობის ახალმა შუქურებმა, წარმოების ნამდვილმა ნოვატორებმა ასატერ აგანიანმა, არტავაზდ არაქელიანმა, სულეიმან ქიაზიმოვმა, სურენ ტამოიანმა. საქალაქო პარტორგანიზაცია პროპაგანდას უწევს მათი მუშაობის გამოცდილებასა და მეთოდებს და მტკიცედ იბრძვის ქიმიური წარმოების კულტურის საერთო ამაღლებისათვის.

დასასრულ ამხ. ბახშინიანი შეეხო პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებსაც საქალაქო კომიტეტი აბორციელებს კიროვაკანის მთელი რიგი ახალი ქიმიური ობიექტების მშენებლობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

სამეცნიერო-საკვლევი ტექნოქიმიური **ინსტიტუტის** მთავარი ინჟინერი **ნ. ს. ნეიბუტოდი** დაწერილებთ შეეხო საყოფაცხოვრებო ქიმიის განვითარების პერსპექტივებს. მან აღნიშნა, რომ საყოფაცხოვრებო ქიმიის პრეპარატებს ძირითადად ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები უშვებენ. ისინი ცუდად ირიან ალუმინული ტექნიკისგან. შესაძლებლობა არა აქვთ განსაზღვრულონ შრომატევადი პროცესების ნამდვილი მექანიზაცია და ამასთანავე მეტად საჭიროებენ ინტენსიფიკაციას ტექნიკოსთა კვალიფიკიერ კადრებს, ნედლეულს. ბუნებრივია, რომ ეს უარყოფთ ვალვნესს ახლებს პროდუქციის ხარისხსა და თვითღირებულებაზე, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს თანამედროვე ქიმიის უდიდეს შესაძლებლობათა დისკრედიტაციას.

მიუხედავად იმისა, რომ პრესაში და თათბირებზე არაერთგზის აღინიშნა, ჯერჯერობით არც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, არც მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებში არ არის საყოფაცხოვრებო ქიმიის განყოფილებანი, რომლებიც ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავებაზე მუშაობდნენ, ხოლო ნავთენდნენ უახლესი მეცნიერული მიღწევების რაც შეიძლება მალე დანერგვისათვის. საყოფაცხოვრებო ქიმიის საკონსულტაციო ბიუროებიც ალ-სებითად არავინ არ ითვალისწინებს.

ორატორმა დაახასიათა საყოფაცხოვრებო ქიმიის პრეპარატების წარმოების მდგომარეობა ამერიკაკავკასიაში და აღნიშნა, რომ ქიმიური მრეწველობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი შედარებით სწრაფად ვითარდება საქართველოში. საჭიროა მკვეთრად გადიდდეს საყოფაცხოვრებო პრეპარატების, კერძოდ, საპნეული, ხიბეცსა, სპრეალებელი, ლაქების ამოსაღები და ინსექტიციდური სამუშაულებების გამოშვების მასშტაბი, აგრეთვე გაუმჯობესდეს მათი ხარისხი.

ქიმიური მრეწველობის განვითარებას, ამბობს ორატორი, პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ. უკვე ახლა დიდმა ქიმიამ კარგი ბაზა შექმნა მცირე ქიმიისათვის. საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმის მოთხოვნილება წლითიწლობით გაიზრდება და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა ამოცანაა უფრო სრულად დააკმაყოფილონ მოსახლეობა სხვადასხვა დანიშნულების მაღალეფექტიანი პრეპარატებით, ამასთან საჭირო რაოდენობით და საჭირო ასორტიმენტით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განყოფილების უფროსმა **ე. ვ. სანაძემ** ძირითადად ილაპარაკა ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის გადაუდებელ ამოცანებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალების წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას ადგილობრივ ნედლეულზე, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს თანამედროვე ქიმიის უდიდეს შესაძლებლობათა დისკრედიტაციას.

სასუქების დიდი ეფექტიანობა საქართველოს პირობებში განპირობებულია ერთი მხრივ მეტ წილ გავრცელებულ ნიადაგთა შედარებით დაბალი ბუნებრივი ნაყოფიერებით, ხოლო მეორე მხრივ — რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი ისეთი კულტურების ბიოლოგიური თავისებურებებით, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, თუთა, ტუნგო. ისინი საჭიროებენ სასუქების შეტანის უფრო მაღალ ნორმებს. მაგალითად, ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაცია მოითხოვს 7-7,5-ჯერ მეტ აზოტოვან სასუქს, ვიდრე მარცვლეული კულტურები და 5-ჯერ მეტს, ვიდრე კარტოფილი. ბევრი სასუქი იქნება საჭირო აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სადაც დიდი ფართობები უჭირავს ბამბას, ვაზს, თამბაქოს, თუთას და სხვა კულტურებს.

ამასთან დაკავშირებით პირველი რიგის, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადიდდეს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის სიმძლავრეები. მიმდინარე შვიდწლედში რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის სიმძლავრე დიდად გაიზრდება, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი. ამრიგად, რესპუბლიკის წინადადება ამიაკის წარმოების სიმძლავრეთა გადიდებისა და კარბამიდის მსხვილი წარმოების შექმნის შესახებ, რუსთავის აზოტოვანი



რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის საერთო ხედი.

ფოტო **გ. კიკვაძისა** და **ი. მღებრიშვილისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

განიზაციამ იმისათვის, რომ უზრუნველეყო ქიმიის მშენებლობანი მუშათა კადრებით. კიროვაკანის კომკავშირულმა ოკისრეს შეფობა ახალი ქიმიური ობიექტების მშენებლობისადმი. ახალგაზრდობამ წამოაყენა ლოზუნგი — „ეშენე და იმუშაე", დამკვრელურად შრომობდა ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაზე და ახლა დამკვრელურად მუშაობს ახალი საწარმოს საამქროებში.

ცხოველი, ოპერატიული მუშაობა ადგილებზე, პარტიული ხელმძღვანელობა ახალი მეთოდები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარეობს, მტკიცე კონტროლი საქალაქო კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი დადებით შედეგებს იძლევა. შვიდწლედის დამდეგიდან მწყობრში ჩადგა რამდენიმე ქიმიური წარმოება, საექსპლოატაციოდ გადაეცა ხელოვნური ბოჭკოს ქარხანა და თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი. ეს იყო ნამდვილი ინტეგრაციონალური მშენებლობა. მის მშენებელთა ერთსულოვან ოჯახში შრომობდა 14 საკავო ორგანიზაცია, მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის მემონტაჟეები.

ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა — მისი მუშების, მოსამსახურეებისა და სპეციალისტების საშუალო ასაკი 22 წელს არ აღემატება — კარგ წარმატებებს მიაღწია. სსრ კავშირის ყველაზე დიდი საწარმო, რომელიც აცეტატის აბრეშუმს უშვებს, სრული სიმძლავრით მუშაობს.

შემდეგ ამხ. ბახშინიანი ამბობს, რომ ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გააძლიროს დახმარება საწარმოებისადმი, განსაკუთრებით ახალ სახეობათა პროდუქციის თვისებაში, ყოველი ღონისძიებით უნდა შეუწყოს ხელი ახალ წარმოებათა ამუშავებას.

უკანასკნელ ხანს დაწინაურდნენ, ავტორიტეტი მოიპოვეს კიროვაკანის ქიმიური მრეწველობის ახალმა შუქურებმა, წარმოების ნამდვილმა ნოვატორებმა ასატერ აგანიანმა, არტავაზდ არაქელიანმა, სულეიმან ქიაზიმოვმა, სურენ ტამოიანმა. საქალაქო პარტორგანიზაცია პროპაგანდას უწევს მათი მუშაობის გამოცდილებასა და მეთოდებს და მტკიცედ იბრძვის ქიმიური წარმოების კულტურის საერთო ამაღლებისათვის.

დასასრულ ამხ. ბახშინიანი შეეხო პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებსაც საქალაქო კომიტეტი აბორციელებს კიროვაკანის მთელი რიგი ახალი ქიმიური ობიექტების მშენებლობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი **ნ. ს. ნეიბუტოდი** დაწერილებთ შეეხო საყოფაცხოვრებო ქიმიის განვითარების პერსპექტივებს. მან აღნიშნა, რომ საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმის მოთხოვნილება წლითიწლობით გაიზრდება და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა ამოცანაა უფრო სრულად დააკმაყოფილონ მოსახლეობა სხვადასხვა დანიშნულების მაღალეფექტიანი პრეპარატებით, ამასთან საჭირო რაოდენობით და საჭირო ასორტიმენტით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განყოფილების უფროსმა **ე. ვ. სანაძემ** ძირითადად ილაპარაკა ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის გადაუდებელ ამოცანებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალების წარმოების გაფართოებისა და ინტენსიფიკაციისათვის, ეფექტიანობისა ეფუძნება ადგილობრივ ნედლეულზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ეს

ახალგაზრდობის ძალისა და სილამაზის გეიმი

გამარჯვების მგკიცე რწმენით

გ. სიხარულიძე,

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში დამკვიდრებულ სახალხო ზეიმთა შორის არის ახალგაზრდობისა და სპორტსმენთა ღირსშესანიშნავი დღესასწაული, რომელსაც სსრ კავშირის ჩალთა სპარტაკიადა ეწოდება. სპორტსმენთა ეს დიდი ფორუმი მკაფიოდ ასახავს სსრ კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის განუხრელ ადმავლობას, მის მასობრიობას, ხალხურობას.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით საბჭოთა სპორტი მსოფლიოში ყველაზე პროგრესული და პოპულარული გახდა. იგი პირდაპირ ხასწაულებს ახდენს, წამყვან როლს ინარჩუნებს მსოფლიო რეკორდების ცხრილში. სპარტაკიადა წარმოადგენს ამ მიღწევათა მკაფიო დემონსტრაციას, გაწეული მუშაობისა და ძალთა გენერალურ შემოწმებას ტოკიოს მომავალი ოლიმპიური პაექრობის წინ.

ამტომ არის, რომ სპარტაკიადისათვის ამზადება და მასში წარმატებით მონაწილეობა ერთ-ერთ მთავარ მოვლენად ითვლება. როგორც ცნობილია, საბჭოთა დიდ სპორტულ ოჯახში საქართველოს როლი თვალსაჩინოა. მიუი სპორტსმენების არცთუ მცირე ნაწილი ყოველთვის წარმატებით გამოდის როგორც მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ ასპარეზობებში,ისე ევროპისა და სსრ კავშირის პირველობებში, მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში.

ჩვენს რესპუბლიკას სამართლიანად უწოდებენ დიდი სპორტული ტრადიციისა და პოტენციალის რესპუბლიკას. ამიტომ საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლას სპორტის რომელიც განებავთ სახეობაში ყოველთვის შეუნელებელი ინტერესით მოელიან. სპარტაკიადა ყოველწლიური კალენდარით გათვალისწინებული ასპარეზობა როდია, იგი წარმოადგენს რამდენიმე წლის მუშაობის დაგვირგვინებას არა მარტო რესპუბლიკათა ნაკრები გუნდებისათვის, არამედ ფიზკულტურული კოლექტივებისთვისაც, მოსწავლე სპორტსმენებისათვის.

სპარტაკიადისათვის მზადება ახალ წარმატებათა პერიოდი იყო. მან მკაფიოდ იჩინა თავი ჯერ კიდევ გასულ წელს რაიონულ, საქალაქო და ზონალურ შეხვედრებში და მრავალი ახალგაზრდა მიიზიდა. თუ ამ რიცხვს შეავდარებთ გასული სპარტაკიადის მონაწილეთა რაოდენობას, იგი სამჯერ მეტი აღმოჩნდება. ცხადია, მასობრიობასთან ერთად გაიზარდა სპორტსმენთა დოსტატება, მათი მაჩვენებლები. ახალ ჩემპიონებთან ერთად იბადებოდა რეკორდები. თუ პირველი სპარტაკიადისათვის 149 ოსტატი გვყავდა, ამასთანავე ეს რაოდენობა მაშინ ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესოდ, მესამე სპარტაკიადისათვის სპორტის ოსტატთა საერთო რაოდენობამ მიაღწია 228-ს, ხოლო რესპუბლიკური რეკორდები განახლდა 12-ჯერ.

როგორც აღვნიშნეთ, სპორტსმენთა ფორუმისათვის მზადება ფიზკულტურული კოლექტივიდან დაიწყო. მაგალითად, ამ მასობრივ შეჯიბრებაში მონაწილეობდა საქართველოს 244 კოლექტივი სოფლის 250.000 სპორტსმენით. თუ ამას მივუმატებთ ფაბრიკა-ქარხნებში გამართულ შეხვედრებს, აგრეთვე მოსწავლეთა სპარტაკიადის წინასწარ შეხვედრებს, მაშინ ცხადი გახდება, თუ რაოდენ მასობრივი იყო რესპუბლიკური სპარტაკიადის პირველი ეტაპები.

სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები — ეი ძირითადად ის „ბაზები", საიდანაც იღებენ შეესებას რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები. ამიტომ ჩვენთვის არანაკლებ საინტერესო იყო მოსწავლე სპორტსმენთა მომზადების დონე და მათი მონაწილეობა რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებში, რადგან აქ გამოვლინებული შედეგები დიდ როლს ითამაშებდა საერთო მაჩვენებლების დადგენისას. 350.000-მდე ჭაბუკი და გოგონა ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას ფინალში მონაწილეობისათვის, მათგან დასკვნითს ასპარეზობაში გავიდა სწავლასა და სპორტში წარჩინებული 5.000 მოსწავლე. მაჩვენებლები კარგი აღმოჩნდა. სპორტსმენებმა აჩვენეს მაღალი შედეგები. შეასრულეს ოსტატის ნორმატივი, დაამყარეს ახალი რეკორდები.

საქართველოს მოსწავლე სპორტსმენებმა სპარტაკიადის დღეებში დაამყარეს 6 რესპუბლიკური და 1 საკავშირო რეკორდი, ხუთმა სპორტსმენმა შეასრულა ოსტატის ნორმატივი.

დასკვნით შეჯიბრებაზე ვოლგოგრადში — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენმა სპორტსმენებმა, პირველ რიგში კი ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა, საერთო მოწონება დაიმსახურეს. საქართველოს გუნდი საერთო მაჩვენებლებით მეოთხე ადგილზე გამოვიდა, იგი რსფსრ გუნდს, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა, ნახევარი ქულით ჩამორჩა.



ორძელზე ვარჯიშს ასრულებს საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე სპორტის ოსტატი ნოდარ მაკალათია.

ფოტო გ. კიკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეს მოხდა გუშინ

ალმის ალმართვის წინ

მოსკოვი. 9 აგვისტო. (ტელეფონით). ხვალ ჩვენ, ქვეყანა აღნიშნავს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. რომელიც ემთხვევა სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადის საზეიმო გახსნას.

ზეიმის მოახლოებასთან ერთად გაიზარდა ბრძოლის ტემპი. სპარტაკიადას ახასიათებს მოულოდნელობები, სიურპრიზები.

აჭ კერძოდ ლაპარაკი გვაქვს **ჭადრაკზე**, საქართველოს გუნდის პირველ ორ შეხვედრაზე მოლდავეთთან. მატჩის ანგარიში იყო 3:3, ხოლო შემდეგ 4,5:3,5 მოლდაველთა სასარგებლოდ. ეს თავისთავად სიურპრიზია, მაგრამ მატჩმა მოსკოვისა და საქართველოს მოჭადრაკეთა შორის, ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა. ამა ვინ წარმოიდგენდა, რომ ჭადრაკის ტიტანთა კოლექტივი სასწაულით გადარჩებოდა დამარცხებას. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით მატჩის ანგარიშს 4:2 მოსკოველთა სასარგებლოდ 4 გადადებული პარტიით. შაშვარა მეოთხე სვლაზე ვერ შეამჩნია აშკარა მოგება და ყიმმს დასჯერდა სმასლოვთან. ლონიანმ ხელოდან გაუშვა ფორსირებული გამარჯვება ბრონშტეინთან, მსოფლიოს ჩემპიონ პეტროსიანთან პარტიაში ყამს მიაღწია გურგენიძემ, ჯინჯიხაშვილმა გაიმარჯვა ცოკოვსკისთან. მართალია ბოტვინიკმა თავიდანვე უარესი პოზიცია მიიღო ბუსლაევთან, მაგრამ ენდშპილში თავი იჩინა მისმა დიდმა გამოცდილებამ და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა. ჩიქოვანმა წაგო ვასიუკოვთან.

მსოფლიოს ჩემპიონმა გაფრინდაშვილმა მოუგო კუშნირს. წარმატებით ითამაშა ალექსანდრიამ და ჩვენს გუნდს მეტად საჭირო ქულა შესძინა. ფონასყორობა აღდგენილ იქნა 4:4. საყაიმო პოზიციაში ავერბახმა სძლია კალატოზიშვილს, მაგრამ კაცოვს მდგომარეობა აშკარად უიმედოა ჩაიკოვსკაისთან და ამ უკანასკნელის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს. ამრიგად, ფაქტიურად ანგარიშია 5:5. ეს შედეგი დიდი სიურპრიზია.

მოლდაველთის გუნდთან გადადებულ პარტიაში ჩაიკოვსკაიამ გაიმარჯვა და ანგარაში გახდა 4,5:4,5. ერთი პარტია კვლავ გადადიდო, სადაც ჩიქოვანს ზედმეტი პაიკი აქვს.

პარტიის დამთავრების შემდეგ საუბარი გვქონდა მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან. სპარტაკიადის გუნდური პირველობა, განაცხადა მან, წაგაგეს თასისათვის ბრძოლას ფეხბურთში. ასე რომ სენსაციები კიდევ არის მოსალოდნელი. ფინალში მოხვედრა საქართველოს გუნდისათვის დიდი გამარჯვება იქნება. პირველ ორ ტურში, ჩვენ, ქალებმა რესპუბლიკის მოჭადრაკეთა კოლექტივს უკვე ხუთი ქულა შეეძინეთ. ვეცდებით ვიბრძოლოთ უკეთესი მაჩვენებლებისათვის.

დღეს საღამოს საქართველოს კალათბურთელ ქალებს, რომლებიც წრეის ყრით მეტად ძლიერ ქვეჯგუფში მოხვედნენ, მატჩი ქონდათ უზბეკეთის, ან ოროგრიკ მას უწოდებენ ალინოვას (სიმაღლე ორი მეტრი) გუნდთან. ეს შეხვედრა შედგა გეიან საღამოს. გაიმარჯვეს უზბეკმა კალათბურთელებმა 56:50.

დაუმარცხებლად გამოდიან ქვეჯგუფში ჩვენი კალათბურთელი ვაჟები. დღეს ისინი შეხვდნენ ბელორუსიის გუნდს. თუ დასაწყისში საქართველოს წარმომადგენლებს არ ქონდათ თვალსაჩინო უპირატესობა. შემდეგ მათ ხელთ იგდეს ინიციატივა და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს ანგარიშით 36:23. მეორე ნახევარში თამაშის ბატონპატრონი ჩვენი კალათბურთელები გახდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 93:57.

მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილენი უახლოვდებიან ფინიშს. მეექვსე ეტაპი კურსკ-ორიოლი იყო. აქ საშუალო სიჩქარემ საათში 45 კილომეტრს მიაღწია. მთავარ ჯგუფს ფინიშთან გაუსწორო ლებედევმა და პირველი ადგილი დაიკავა. 160 კილომეტრი მან გაიარა 3 საათში, 34 წუთში და 54 წამში. მაგამ ამას ხელი არ შეუშლია ესტონელი ველოსიპედისტებს ვიავარსისათვის. იგი კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას. გუნდურ ასპარეზობაში წინ მოსკოველები არიან. მეორე ადგილზეა ესტონეთის გუნდი, მესამეზე რსფსრ-ის ველოსიპედისტთა კოლექტივი. გაკვირვებას იწვევს საქართველოს ველოსიპედისტთა მაჩვენებლები. მას კვლავ აუტსაიდერთა რიგებში ვხედავთ.

არმიის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბის დარბაზში საჭიდაო ხალიჩებზე მიმდინარეობს შესარჩევი შეხვედრები.

ხალიჩაზე გამოიძახეს ქვემძიმე წონის მოჭიდავეები. მათ რიგებში იყო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი აბაშიძე, რომელსაც მორიგ წრეში ორთაბრძოლა ჰქონდა საროვთან. ეს შეხვედრა წარიმართა მდორედ. მსაჯთა კოლეგია იძულებული იყო ორივე მეტოქე მოეხსნა შეჯიბრებიდან. აბაშიძემ და საროვმა მიიღეს ოთხ-ოთხი საჯარიმო ქულა.

კვლავ წარმატებით გამოდის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი რურუა. მან კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად დამარცხა ლატვიელი მოჭიდავე კლინტსონი. გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ლუღუნაშვილმა და ეგაძემ.

საქართველოს წყალბურთელები დაუმარცხებლად იბრძვნენ. გუშინ მათ შეხვედრა ჰქონდათ მოლდავეთის გუნდთან. პირველი პერიოდი ჩვენმა სპორტსმენებმა მოიგეს ანგარიშით — 2:0, მეორე — 3:2, მესამე — 3:1, ხოლო მეოთხე — წაგეს 0:1. მატჩის საბოლოო შედეგია 8:4.

ბრძოლაში ჩაებნენ ძძლეოსნები. შეჯიბრება შერეულით ხასიათს ატარებდა. საქართველოს ფრენბურთელებმა სტარტზე წარმატება მოიპოვეს, დაამარცხეს ყაზახეთის ქალთა და უზბეკეთის ვაჟთა გუნდები 3:0, 3:2.

ქების ღირსია ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურის კოლექტივის ტანმოვარჯიშე ქალები. მათ მეორე ადგილი დაიკავეს. რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების ტანმოვარჯიშეთა შორის წინ არიან მოსკოვის, უკრაინის, რსფსრ-ის, საქართველოსა და ლენინგრადის გუნდები. დღეს შედგება ვაჟთა ნებისმიერი ვარჯიშები.

ვ. გაგელია,

„კომუნისტის" სპეც. კორ.

• • •

ტანმოვარჯიშეთა პარადი სპორტის სასახლეში. მოდის საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი.

ფოტო გ. კიკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

„განვამტკიცოთ მიღწეული შედეგები"

ჰელსინკი, 8 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჰიუმმა, რომელიც აქ ჩამოვიდა, განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, დიდად კმაყოფილი ვარ იმით, რომ მოსკოვში ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშა.

ჰიუმმა გამოთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირთან გაგრძელდება განხილვა საკითხებისა, „რომლებიც სხვა დარგებს ეხება".

ჰიუმმა გამოთქვა შემდეგ აზრი, რომ ჟენევის განიარაღების თათბირმა უნდა გადადგას შემდგომი ნაბიჯი — დაიწყოს ეუცარი თავდასმის თავიდან აცილების საკითხის განხილვა.

მეგობრული დახმარება

ბელგრადი, 8 აგვისტო. (საკდესი). მიწისძვრის შედეგად დანგრეულ სოფელში სულ უფრო მეტი ტკბილი მოდის საბჭოთა კავშირიდან. ქალაქში ჩამოტანილია საბჭოთა მედიკამენტები და სურსათი. გუშინ აქ მოვიდა 5ß ვაგონი ცემენტი. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია ცემენტისა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გამოპყო ქალაქის აღდგენისათვის. მოელიან ცემენტით დატვირთულ ახალ ეშელონებს. ამ დღეებში ქალაქი მიიღებს შაქარს, ფქვილსა და დახარხილ მასალას.

გუშინ ნანგრევების გაწმენდის სამუშაოები დაიწყო საბჭოთა არმიის სპეციალურმა საინჟინრო ნაწილმა, რომელიც სკოპლეში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მთავრობათა შეთანხმების შესაბამისად. იგი აღჭურვილია საჭირო ტექნიკით. საბჭოთა მესაფრენეები მუშაობენ ქალაქის იმ რაიონებში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ მიწისძვრის შედეგად.

მდგომარეობა ჰაიტიში

ნიუ-იორკი. 8 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტომ კორესპონდენტი იმოწმებს ოფიციალურ წყაროებს და პორტ-ო-პრენსიდან იუწყება, რომ ლეგიდირებულია ჰაიტელ ემიგრანტთა შეიარაღებული რაზმები ჰაიტის ჩრდილოეთ სანაპიროზე.

შინაგან საქმეთა და ეროვნული თავდაცვის მინისტრის კანცელარიის წარმომადგენელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ჩრდილოეთ რაიონს სრულ კონტროლს უწევს ჰაიტის მთავრობა.

შეჯრილი რაზმების განადგურება აცნობა აგრეთვე კორესპონდენტებს ჰაიტის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა რაიმონმა.

მიუხედავად ამისა, როგორც დეპეშათა საგენტოების კორესპონდენტები ვაშინგტონიდან და სანტო-დომინგოდან იუწყებიან, მდგომარეობა ჰაიტიში კვლავ გაურკვეველია.

ჭ. კენედიმ სენატს გაუგზავნა ტექსტი ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ

ვაშინგტონი, 9 აგვისტო. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ ამერიკის შეერთებული შტატების სენატს რატიფიკაციისათვის გაუგზავნა ტექსტი ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. ამავე დროს კენედიმ სპეციალური წერილით მიმართა სენატს.**

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერა ლონდონში

ლონდონი, 9 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ცერემონია, რომელზეც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 24 ქვეყანამ — კანადამ, ავსტრალიამ, ჩეხოსლოვაკიამ, ფილიპინებმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, ფინეთმა, რუმინეთმა, ტაილანდმა, ინდოეთმა, ირანმა, უნგრეთმა, ისრაელმა, პოლონეთმა, ახალმა ზელანდიამ, ირლანდიის რესპუბლიკამ, იუგოსლავიამ, ბულგარეთმა, მექსიკამ, კვიპროსმა, იტალიამ, ბელგიამ, ავღანეთმა, არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ, ბრაზილიამ.

კომუნიკე კეკონენისა და მაკმილანის მოლაპარაკების შესახებ

ჰელსინკი, 8 აგვისტო. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კომუნიკე ფინეთის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანის 7 და 8 აგვისტოს საუბრების შესახებ.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა კეკონენმა და პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა, ნათქვამია კომუნიკეში, განიხილეს საერთაშორისო ვითარება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების მიხედვით. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ თუ ყველა მხარე წინანდებურად გამოიჩენს შერიგებისადმი იმ მისწრაფებას, რომელიც გამოვლინდა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შეთანხმების მიღწევაში, მაშინ ბევრ დარგში შესაძლებელი იქნება ახალი შეთანხმებანი დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის.

საუბრების დროს ფინეთის პრეზიდენტმა განმარტა წინადადება ჩრდილოეთ ევროპის უატომო ზონად გამოცხადების შესახებ, რომელიც მან წამოაყენა მაისის დამლევს.

კეკონენისა და მაკმილანის საუბრების დროს განხილულია აგრეთვე ფინეთისა და ინგლისს შორის ვაჭრობის საკითხები. ამასთან ინგლისის მხარემ ხაზგასმით აღნიშნა ვაჭრობის დაბალანსების დიდი მნიშვნელობა. გარდა ამისა, პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ფინეთის შეერთებასთან ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან.

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

გუშინ კუიბიშევში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კრილია სოვეტოვისა" და მოსკოვის „ტორპედოს" გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 2:0.

გუშინ კიევის „დინამომ" თავის მოედანზე მიიღო ლენინგრადელი თანაკლუბელები. ასპარეზობა დამთავრდა კიევის „დინამოს" გამარჯვებით 3:2.

ა. ნ. ხინთიბიძე

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკთა კოლექტივს მოულოდნელად გამოაკლდა ცნობილი კინომსახიობი და რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **არკადი ნიკოლოზის-ძე ხინთიბიძე.**

იგი დაიბადა 1898 წელს სოფელ ძიმითში, ღარიბ გლეხის ოჯახში. 1918 წელს დამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და შევიდა სამხედრო სამსახურში. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა მასწავლებლად სოფელ ნაგომარში. მასწავლებლად ყოფნის პერიოდში ა. ხინთიბიძე ხშირად გამოდიოდა სოფლის სცენაზე.

შემოქმედებით მოღვაწეობას ა. ხინთიბიძე იწყებს 1923 წელს „წითელ თეატრში",

თეატრში მოღვაწეობის პარალელურად 1923 წელს ა. ხინთიბიძე შედის კინომსახიობთა სტუდიაში.

ამ წლიდან მან მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა ქართულ კინემატოგრაფიას.

მრავალფეროვანია არკადი ხინთიბიძის მიერ ქართულ ფილმებში შექმნილი სახეების გალერეა. მაყურებელთა ხსოვნას დღემდე შერჩენია მისი ყარამანი — „ვინ არის დამნაშავე", ივანე — „ჯანყი გურიაში", ისმაილი — „ახალგაზრდობა იმარჯვებს", გიორგი — „ამერიკანკა", მიქელა — „დაკარგული სამოთხე" და სხვა მრავალი.

1946 წლიდან ა. ხინთიბიძე მუშაობს მეორე რეჟისორად ფილმებზე: „დავით გურამიშვილი", „საბჭოთა საქართველო", „ჩრდილი გზაზე" და სხვ., ხოლო 1950 წლიდან გადადის კინოსტუდიის მულტფილმებში და მუშაობას იწყებს ნახატი ფილმების დამდგმელ-რეჟისორად.

საბჭოთა მაყურებლისათვის კარგად არის ცნობილი ა. ხინთიბიძის მიერ დადგმული ნახატი ფილმები „ჯაფარა", „წავი ჩუკა", „ნიკო და ნიკორა", „ჩხიკვთა ქორწილი", „მტრობა" (მეორე პრემია მიიღო საბჭოთა ფილმების საკავშირო კინოფესტივალზე 1960 წელს), „ქორბუდა", რომლებიც საბჭოთა მულტიპლიკაციური ფილმების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

ა. ხინთიბიძე აგრეთვე ეწეოდა მეტად ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას. შესანიშნავი შემოქმედებითი მუშაკის, საზოგადო მოღვაწის, სამაგალითო ადამიანისა და მეგობრის არკადი ხინთიბიძის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკთა ხსოვნაში.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტი

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმი

კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექცია.

გზა სპორტული მღვერვალისაკენ

ჩვენი ინტერვიუ

ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის მაჯოჩვინილი სპორტსმენები

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საზეიმოდ გახსნის წინ გაზ. „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი ეწვია ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ სპორტსმენებს და ესაუბრა მათ. ქვემოთ ვაქვეყნებთ სპორტსმენთა წერილებს.

ა. მიხაილოვი,

სსრ კავშირის ჩემპიონი საბარიერო რბენაში.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ფინალური შეჯიბრება ყოველთვის იწვევდა და იწვევს უდიდეს ინტერესს სპორტის ყველა მოყვარულთა შორის, თავს უყრის მრავალ მონაწილეს და იპყრობს არა მარტო საბჭოთა პრესისა და რადიოს, არამედ მთელი მსოფლიოს პრესისა და რადიოს ყურადღებას.

მე, უკრაინელ სპორტსმენს — ბევრი მძლეოსნური შეჯიბრებისა და რომის ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეს, ყოველთვის მახარებს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში შეხვედრა საქართველოს სპორტსმენებთან, რომელთა ბევრი სახელი ოქროს ოსეთებთან არის ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის სპორტისა და ფიზიკური კულტურის გავითარების ისტორიაში.

ფინალური შეჯიბრება უკვე დაიწყო! ჩვენი უკრაინის გუნდი ჯერჯერობით წინ მიდის. მაგრამ ჯერ კიდევ წინ არის მთავარი სპორტული ასპარეზობანი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს გუნდი შეჯიბრების დასასრულისათვის ქულების რიცხვით ლიდერთა ჯგუფში აღმოჩნდება, როგორც ეს ორივე წინა სპარტაკიადაზე მოხდა.

III სპარტაკიადის დასკვნითი შეჯიბრება გაადიდებს ოსტატთა რიცხვს საქართველოს სპორტსმენთა შორის და მათი სპორტული გულშემატკივრების რიცხვს.

სულით და გულით ვუსურვებ საქართველოს სპორტსმენებს ამ შეჯიბრებაში საუკეთესო წარმატებებს.

ვ. კრეპკინა,

ოლიმპიური ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება ყოველთვის იწვევდა და იწვევს უდიდეს ინტერესს სპორტის ყველა მოყვარულთა შორის, თავს უყრის მრავალ მონაწილეს და იპყრობს არა მარტო საბჭოთა პრესისა

და რადიოს, ასევე ოლიმპიური ასპარეზობა, როცა ოქროს ოლიმპიური მედლები საბჭოთა სპორტსმენებს შორის მიიღეს საქართველოსა და ბელორუსიის წარმომადგენლებმა, მაშინ როცა საფრანგეთმა, საერთაშორისო სპორტში ესოდენ კარგად ცნობილმა ქვეყანამ, ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიპოვა.

ჩვენი სპარტაკიადა ძალების გენერალური შემოწმებაა ტოკიოს მომავალი ოლიმპიადისათვის, სადაც ჩვენ ბრწყინვალე მსოფლიო რეკორდების ფეიერვერკი უნდა ვაჩვენოთ.

ამაში, მე ვფიქრობ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ჩვენი მეგობრებიც — საქართველოს სსრ სპორტსმენები.

რ. აბაშიძე,

მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობაში.

დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება. საქართველოს რესპუბლიკას კარგი სპორტული ტრადიციები აქვს. გასულ სპარტაკიადებზე ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივი პირველ ხუთეულში იყო.

ამჟამადაც ჩვენი სპორტსმენები მეხუთე ადგილზე მიდიან. გადამწყვეტი შეჯიბრებანი ჯერ კიდევ წინ არის. სრულ რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენი კოლექტივი მიმდინარე ასპარეზობებშიც წარმატებით გამოვა და უფრო სპპატიო ადგილისათვის იბრძოლებს.

მჯერა, სპორტის მოყვარულთა იმედებს არ გაამტყუნებენ ჩვენი მოჭიდავეები. გასულ ორ სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა კოლექტივს თანმიმდევრულად მეოთხე და მეექვსე ადგილები ეჭირათ. ამ კარგი ტრადიციის გუნდს ყველა შესაძლებლობა აქვს არ დასჯერდეს წარსულ ჩაჩვენებლებს, იბრძოლოს უკეთესი მედეგებისათვის. ვფიქრობ, არავის გაუკვირდება, თუ ვალიარებთ, რომ საქართველოს მოჭიდავეთა გუნდი სპარტაკიადის ჩემპიონობაზეც კი ოცნებობს.

ლ. გეიშტორი,

რომის ოლიმპიადის პრიზიორი ნიჩბოსნობაში

გეგრი ქართველი სპორტსმენის სახელი სამუდამოდ დარჩება ნათელ ფურცლად საბჭოთა სპორტის ისტორიაში.

რ. აბაშიძე და ნ. გაფრინდაშვილი, ბ. პაიკაძე და ლ.სანაძე, რ. შავლაყაძე და სხვები მუდამ იქნებიან ჩვენი ახალგაზრდობისათვის ნებისყოფის, მამაცობის, ენერგიის, სიმტკიცის მაგალითი.

ჩვენ, ბელორუსიის სპორტსმენებს, კარგად გვახსოვს რომის ოლიმპიური



კვლავ საუკეთესოთა შორის

წელს მესამედ ეწყობა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, რომელიც სიჯაბუკის, სიჩაუქის ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენს. წელს სპარტაკიადის სტადიონებზე გამოვიდა 66 მილიონზე მეტი მონაწილე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სპორტი ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო გახდა.

საქართველოს სპორტსმენები მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ სპარტაკიადაზე. 1956 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე მათ 238,5 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავეს. 269 ქულით ჩვენი სპორტსმენები მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ 1959 წელსაც.

სპარტაკიადის შეჯიბრებებზე ასევე წარმატებით გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები წელსაც. უკრაინის, მოსკოვის, რსფსრ-ის, ლენინგრადის ძლიერი კოლექტივების შემდეგ ჩვენი გუნდი ჯერჯერობით კვლავ მეხუთე ადგილზე იმყოფება.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-98, სოფლის ეკონომიკის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

УЭ 11561

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

1